საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №200/17-2

მოსამართლე – -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2017 წლის 15 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 26 ივნისის №--/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატამ მოსამართლე -- -- თავმჯდომარეობით განიხილა მისი საქმე, სადაც მოწინააღმდეგე მხარე იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საჩივრის ავტორმა 2017 წლის 20 ივნისს საკასაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა სხდომაზე დასწრება, რაზეც სასამართლომ უთხრა უარი. გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლე -- --. მისი თქმით, მოსამართლე -- -- დაარღვია საქმის განხილვასთან

დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი ვადები. მან საქმის განხილვის 6 თვიან ვადას გადააცილა. კერძოდ, მოსამართლე -- -- საქმის წარმოებაში მიღებიდან მხოლოდ 7 თვის შემდეგ ჩანიშნა სხდომა. 2017 წლის 26 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოსამართლეთა კოლეგიამ, რომელსაც -- -- თავმჯდომარეობდა, მის საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლომ არ აცნობა გადაწყვეტილების შინაარსი. აღნიშნულზე არაერთხელ მიმართა უზენაეს სასამართლოს წერილობით (03/10/2017, 12/10/2017), თუმცა მისი განცხადებები მოსამართლემ დატოვა უპასუხოდ და სამ კვირიანი მცდელობის შემდგომ ჩაბარდა განჩინება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოიკვლიოს შემდეგი: მოსამართლე -- -- გადაწყვეტილებაში საქმის განხილვის დასაშვებობა დასაბუთებული იყო პრაქტიკის დადგენით, თუმცა მეორე მოსამართლემ, -- -- ამ საკითხზე საერთოდ არ იმსჯელა და მხოლოდ ფაქტების გამოკვლევაზე გაამახვილა ყურადღება. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლო ხელმძღვანელობს ორმაგი სტანდარტით: თუ მოსამართლე -- -- შეუძლია კანონით დადგენილი ვადები დაარღვიოს, მაშინ სხვის ვადებს რატომ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, რომელიც უკვე გამოკვლეული და დადგენილია ორივე ინსტანციის მიერ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2015 წლის 30 ივნისს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მესამე პირის - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

-- -- მოითხოვდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების ბათილად ცნობას.

-- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 06 ივლისის განჩინებით, -- -- სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი.

-- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 04 მარტის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა -- -- სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება და 2009 წლის 11 სექტემბრის ხელშეკრულება -- -- საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ნაწილში.

-- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 04 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პრეზიდენტმა (04/05/2016) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (03/05/2016).

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 27 მაისის განჩინებით, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 06 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 04 მარტის გადაწყვეტილება.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 06 დეკემბრის განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პრეზიდენტმა (31/01/2017) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (01/02/2017).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის (მოსამართლე - -- --) 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებებით, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --) 2017 წლის 19 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

-- -- 2017 წლის 20 ივნისს განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატას და მნიშვნელოვან საკითხებზე შესაბამისი არგუმენტების წარდგენის მიზნით, მოითხოვა საქმეზე ზეპირი მოსმენის დანიშვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --; მოსამართლეები: -- --, -- --) 2017 წლის 21 ივნისის განჩინებით მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გარკვევის მიზნით ზეპირი განხილვის დანიშვნის, ან მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტების მოსმენის საჭიროება არ იკვეთებოდა და დაადგინა, რომ -- -- განცხადება საქმის ზეპირი განხილვის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 06 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინება მხარეებს (მათ შორის -- --) გაეგზავნა 2017 წლის 17 ოქტომბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებით, უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 04 მარტის გადაწყვეტილება.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს პრეზიდენტმა (04/04/2018) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (03/04/2018).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის (მოსამართლე - -- --) 2018 წლის 27 აპრილის განჩინებით, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საკასაციო საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --; მოსამართლეები: -- --, -- --) 2018 წლის 11 ივლისის განჩინებით, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიიჩნია დაუშვებლად და უცვლელად დატოვა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,

დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საქმის მასალების მიხედვით, 2017 წლის 26 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- --, მოსამართლეები: -- --, -- --) მიერ საქმეზე მიღებულ იქნა საბოლოო განჩინება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივრები და გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება. აღნიშნული განჩინება ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის შეფასებაც დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია.

ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასა და დასაბუთებული განჩინების დაგვიანებით ჩაბარებაზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული

მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში საკასაციო სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

აღსანიშნავია, რომ საკასაციო საჩივრები დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში 2017 წლის 23 თებერვალს, 2017 წლის 19 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დასაშვებად (სამი თვის ვადაში) და 2017 წლის 26 სექტემბერს საქმეზე მიღებულ იქნა საბოლოო განჩინება, რაც მხარეებს გაეგზავნა 2017 წლის 17 ოქტომბერს (ერთი თვის ვადაში). საერთო ჯამში, საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადამ შეადგინა 07 თვე და 04 დღე, ნაცვლად, კანონით დადგენილი საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო 06 თვიანი ვადისა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე, რომ ქმედების საქმის განხილვის ,,უსაფუძვლო“ გაჭიანურებად მიჩნევისთვის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი, საქმეთა სიმრავლე და დატვირთულობა. მოსამართლე -- -- წარმოებაში არსებული და დამთავრებული საქმეების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წელს წარმოებაში ჰქონდა 384 საქმე და დაასრულა 343 (89%), ხოლო 2017 წელს - 448 საქმე და დაასრულა 315 (70%). აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის ერთი თვით დაგვიანების ფაქტი არ წარმოადგენს საქმის განხილვის უსაფუძვლო ბრალეულ გაჭიანურებას. რაც შეეხება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გაგზავნის საკითხს, საქმის მასალებზე დაყრდნობით, სასამართლომ კანონით დადგენილ ერთ თვიან ვადაში უზრუნველყო საქმეზე მიღებული საბოლოო განჩინების მხარეთათვის გაგზავნა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №200/17-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი